ჟურნალ „ეკონომიკის“ რედაქციას

ჩემი დაბადების 90 წლის თავთან დაკავშირებით საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ჩაატარა სპეციალური ღონისძიება - საიუბილეო შეხვედრა.

გამოიცა წიგნი ჩემი მოღვაწეობის შესახებ და ჩემი ლექსების მეორე კრებული „ჩემი სამყარო“.

საქართველოს რიგმა ჟურნალმა და გაზეთმა გამოაქვეყნა ჩემდამი მოლოცვა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

მრავალი მოსალოცი მივიღე სამეცნიერო ორგანიზაციებისაგან, ცალკეული პირებისაგან - კოლეგების, მეგობრების, ახლობლებისგან.

აღნიშნულ მოლოცვებში შეფასებულია ჩემი მოღვაწეობა მეცნიერებაში, მოცემულია სურვილები სამომავლოდ.

მე უღრმეს მადლობას მოვახსენებ აღნიშნულ მოლოცვათა ავტორებს მათი კეთილი დამოკიდებულებისათვის ჩემდამი, ჩემი მოღვაწეობის მაღალი შეფასებისათვის, ადამიანური სითბოსათვის ჩემს მიმართ.

ამასთან მინდა გითხრათ, რომ ამჟამადაც მე ინტენსიურად ვმუშაობ ორ წიგნზე: „მეტაეკონომიკა როგორც ეკონომიკური მეცნიერების განვითარება“ და „როგორ მდიდრდებიან ადამიანები და ხალხები?“, ასევე ვაპირებ სტატიების გამოქვეყნებას საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების სამომავლო ტენდენციებზე.

მე უღრმეს მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გვერდში მედგა მთელი ცხოვრების მანძილზე და ვისი ხელშეწყობითაც შევძელი მიმეღწია იმისი გაკეთება, რაც გამიკეთებია სამშობლოს, ადამიანების, სიცოცხლის სიყვარულით, მომავლისათვის ზრუნვით.

გიორგი მალაშხია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (ემერიტუსი),
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა
და ტექნიკის დარგში, სამეცნიერო ნაშრომთა კონკურსებში
მრავალგზის გამარჯვებული, დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების
წევრი საქართველოსა და საზღვარგარეთ, მეცნიერების ახალი
მიმართულების - „მეტაეკონომიკის“ საფუძვლის ჩამყრელად
აღიარებული საერთაშორისო მასშტაბით.